

სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2017 წლის ანგარიში

სარჩევი


- *სამსახურის მიზნები და ამოცანები, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები* *3*
- *სტატისტიკური მონაცემები* *4*
- *ტიპოლოგია* *10*
- *ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა* *12*
- *საკანონმდებლო ბაზა* *13*
- *ტრენინგები და სემინარები* *15*

- *სამსახურის მიზნები და ამოცანები, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები*

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის საქმიანობის ძირითად მიმართულებას განსაზღვრავს საქართველოს კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, რომლის მიხედვით სამსახურის ძირითადი ამოცანაა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, ტერორიზმის დაფინანსებისა და მათთან დაკავშირებული სხვა დანაშაულებრივი ფაქტების გამოვლენა და პრევენცია. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიზნები და ფუნქციები, მისი სტრუქტურა განსაზღვრულია აგრეთვე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ოქტომბრის #606 დადგენილებით დამტკიცებული “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დებულებით”.


საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური დანაშაულებრივი ფაქტების გამოვლენისა და მათი პრევენციის მიზნით, კანონმდებლობით განსაზღვრული მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისგან იღებს, აანალიზებს და შესაბამისი დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, რომ გარიგება საეჭვოა და ხორციელდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ან ტერორიზმის დაფინანსების ან სხვა დანაშაულის ჩადენის მიზნით, დაუყოვნებლივ, სხვა ორგანოსგან ან პირისგან ნებართვის მიღების გარეშე, გადასცემს ამ ინფორმაციას და მის ხელთ არსებულ სათანადო მასალებს სამართალდამცავ ორგანოებს. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფლებამოსილებებთან ერთად, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებები, მონიტორინგის განმახორციელებელი პირები, საზედამხედველო ორგანოები და მათი ვალდებულებები.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის სტრუქტურა შემდეგნაირია:



ამჟამად მოქმედი სამსახურის საშტატო ნუსხა და თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობა დამტკიცებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2018 წლის 29 იანვრის #16 ბრძანებით. აღნიშნული აქტის საფუძველზე საშტატო ნუსხით გათვალისწინებულია 31 საშტატო ერთეული. თუმცა, მიმდინარე წლის 1 იანვრამდე მოქმედი საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2017 წლის 30 აგვისტოს #236 ბრძანების მიხედვით საშტატო ნუსხით გათვალისწინებული იყო 32 საშტატო ერთეული. შესაბამისად, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში დასაქმებულთა გენდერული მონაცემები 2017 წელს შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

გენდერული მონაცემები, 2017 წ.



- *სტატისტიკური მონაცემები*

2017 წლის მანძილზე „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს წარმოადგენდნენ:

- ფინანსური ინსტიტუტები: კომერციული ბანკები, ვალუტის გადამცვლელი პუნქტები, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირები, კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტები, საბროკერო კომპანიები და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორები, სადაზღვევო კომპანიები და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლები, საგადახდო მომსახურების პროვაიდერები და სალიზინგო კომპანიები.


- არაფინანსური ინსტიტუტები: ლატარიის, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის ორგანიზატორები, მათ შორის, სამორინეები (აგრეთვე, ინტერნეტ სამორინეები); ძვირფას ლითონებთან, ძვირფას ქვებთან და მათ ნაწარმთან და ანტიკვარულ ნივთებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი პირები; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური, გრანტებისა და საქველმოქმედო დახმარებების გამცემი

პირები; ნოტარიუსები; საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო: პირები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეწევიან საბუღალტრო ან/და აუდიტორულ საქმიანობას და ადვოკატები.


„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მონიტორინგის განმახორციელებელი პირები ვალდებულნი არიან საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს მიაწოდონ ანგარიშგების ფორმები მონიტორინგს დაქვემდებარებულ გარიგებებთან დაკავშირებით. მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებების სახეები განსაზღვრულია „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით, რომლის თანახმად მონიტორინგს ექვემდებარება როგორც გარკვეული სახის გარიგებები 30 000 ლარს ზღვარს ზემოთ, აგრეთვე საეჭვო გარიგებები.

2017 წლის მანძილზე სამსახურში შემოვიდა 200 779 ანგარიშგების ფორმა, მათ შორის, 911 ფორმა საეჭვო გარიგების (ოპერაციის) თაობაზე, ხოლო 199 868 ანგარიშგების ფორმა კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზღვარს ზემოთ განხორციელებული ოპერაციის შესახებ. გასული წლების ანალოგიურად, ინფორმაციის ძირითადი მოცულობა წარმოდგენილია კომერციული ბანკების მიერ - 100 854 ანგარიშგების ფორმა, მათ შორის, 623 საეჭვო გარიგების ანგარიშგების ფორმა. რაც შეეხება მონიტორინგის განმახორციელებელ სხვა პირებს, აღსანიშნავია, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილია 30 946 ანგარიშგების ფორმა, მათ შორის, 113 საეჭვო გარიგების შესახებ ანგარიშგების ფორმა; სადაზღვევო კომპანიებისა და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლების მიერ - 147 ანგარიშგების ფორმა, მათ შორის, 2 საეჭვო გარიგების ანგარიშგების ფორმა; საბროკერო კომპანიების მიერ - 392, მათ შორის, 3 საეჭვო გარიგების ანგარიშგების ფორმა; ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების მიერ - 370, მათ შორის, 10 საეჭვო გარიგების ანგარიშგების ფორმა; ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მიერ - 33 522, მათ შორის, 5 საეჭვო გარიგების შესახებ ანგარიშგების ფორმა; ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირების მიერ - 39, მათ შორის, 2 საეჭვო გარიგების თაობაზე ანგარიშგების ფორმა; არასაბანკო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების მიერ - 28 ანგარიშგების ფორმა; საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ - 908 ანგარიშგების ფორმა; ნოტარიუსების მიერ - 5 206, მათ შორის, 3 საეჭვო გარიგების ანგარიშგების ფორმა; სამორინეების მიერ - 224; ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების მომწყობი პირების მიერ - 289; სალიზინგო კომპანიების მიერ - 848 ანგარიშგების ფორმა, მათ შორის, 14 საეჭვო ანგარიშგების ფორმა; ადვოკატებისგან 1 საეჭვო გარიგების შესახებ ანგარიშგების ფორმა; შემოსავლების სამსახურის მიერ - 6695 და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ – 20 310, მათ შორის, 135 საეჭვო გარიგების შესახებ ანგარიშგების ფორმა.


გრაფიკულად 2017 წლის მანძილზე სამსახურის მიერ მიღებული ანგარიშგების ფორმების რაოდენობა შემდეგნაირად გამოიყურება:




შესაბამისად, სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგად ფინანსური (მათ შორის, კომერციული ბანკებიდან) და არაფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული ანგარიშგების რაოდენობის მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება:




არასაფინანსო სექტორიდან მიღებულ ანგარიშგებათა სტატისტიკური მონაცემები, 2017წ.




თავის მხრივ, სამსახურში რეგისტრირებული, კანონმდებლობით განსაზღვრული მონიტორინგის განმახორციელებელი პირები, რომლებიც საქართველოს საფინანსო სექტორს წარმოადგენენ, 2018 წლის 1 იანვრისთვის მოიცავდა: 16 კომერციულ ბანკს, 11 საკრედიტო კავშირს, 73 მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, 16 სადაზღვევო ორგანიზაციასა და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელს და 8 საბროკერო კომპანიას, 4 ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს, 67 ფულადი გზავნილის განმახორციელებელ პირს, 1087 ვალუტის გადამცვლელ პუნქტს, 5 სალიზინგო კომპანიას და 31 საგადახდო მომსახურების პროვაიდერს.



კანონმდებლობით განსაზღვრული მონიტორინგის განმახორციელებელი პირები, რომლებიც საქართველოს არასაფინანსო სექტორს წარმოადგენენ და აღრიცხვაზე არიან საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში, 2018 წლის 1 იანვრისთვის მოიცავდა: 316 ნოტარიუსს, 416 ლატარიის, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მომწყობ პირს, 394 აუდიტორულ კომპანიას, 31 სამორინეს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, შემოსავლების სამსახურს (საბაჟო ორგანო) და სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრ ადვოკატებს.




საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში გასულ წლებთან შედარებით 2017 წელს შემოსული ინფორმაციის საერთო მოცულობის ცვალებადობის ტენდენცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:




2017 წელს მიღებული ანგარიშგების ფორმების ანალიზის და სამსახურის მიერ მოძიებული სხვა ინფორმაციის დამუშავების შედეგად, ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა გამოავლინა და „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს მთავარი პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს გადასცა 147 საქმე (მათ შორის, 28 ტერორიზმის შესაძლო დაფინანსების სავარაუდო შემთხვევებზე).

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ გასულ წლებთან შედარებით 2017 წელს სამართალდამცავი ორგანოებისთვის გადაგზავნილი საქმეების რაოდენობის ზრდის ტენდენცია შემდეგნაირად გამოიყურება:



„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2015 წლის 3 ივლისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე (რომლის თანახმად, სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური აღიჭურვა არაუმეტეს 72 საათით გარიგების აღსრულების შეჩერების უფლებამოსილებით), 2017 წელს გარიგების აღსრულების შეჩერების უფლებამოსილება საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ გამოყენებულ იქნა ორჯერ.



- *ტიპოლოგია*

2017 წლის მანძილზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მიღებული ანგარიშგებების, მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისგან

გამოთხოვილი დამატებითი ინფორმაციის, უცხოელი კოლეგებისგან მიღებული და ღია წყაროებში მოძიებული ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა, რომ წინა წლის მსგავსად, 2017 წელსაც აქტუალური იყო სხვადასხვა თაღლითური გზებით (კომპიუტერულ სისტემებში ან ელექტრონულ ფოსტაში არაავტორიზებული შეღწევა, საბანკო რეკვიზიტების შეცვლა დოკუმენტაციაში, საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გაყალბება, ე.წ. "romance-scam", ე.წ. "identity theft" და ა.შ.) მოპოვებული თანხების ჩარიცხვა ან გადარიცხვა სხვადასხვა ქვეყნების საფინანსო არხების საშუალებით და ამ თანხების ლეგალიზაციის მცდელობის ფაქტები. აღნიშნული ჩარიცხვები ხორციელდებოდა როგორც საბანკო არხებით, ასევე სწრაფი ფულადი გზავნილების სხვადასხვა საერთაშორისო სისტემების გამოყენებით. ჩარიცხული თანხების ნაწილი მალევე გადაირიცხებოდა მესამე ქვეყნის საბანკო დაწესებულებებში ან ნაღდდებოდა საქართველოშივე, ხოლო ქვეყნის ფინანსური ინსტიტუტების სახელზე გადმომრიცხავი ორგანიზაციიდან მოდიოდა მოთხოვნა თანხის დაბრუნების თაობაზე. რიგ შემთხვევებში, წინა წლების მსგავსად, თანხები ირიცხებოდა საქართველოს მოქალაქეების სახელზე, რომელთაც თან ახლდნენ სავარაუდოდ, აფრიკული ქვეყნების მოქალაქეები, რომლებიც თანხის განაღდებისას თანმხლებ პირებს აძლევდნენ მითითებებს ან უშუალოდ ანაღდებდნენ თანხებს. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ სამართალდამცავ უწყებებში გადაგზავნილი საქმეების მნიშვნელოვანი რაოდენობა კვლავ მსგავს ქმედებებთანაა დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ წინა წლებთან შედარებით, 2017 წელს უცხოეთიდან სავარაუდოდ თაღლითური გზით მოპოვებული თანხების საქართველოს ბანკებში არსებულ ანგარიშებზე ჩარიცხვისა და საქართველოში მყოფი რეზიდენტი თუ არარეზიდენტი პირებისთვის სწრაფი ფულადი გზავნილით გამოგზავნის ტენდენცია საგრძნობლადაა შემცირებული.

2017 წელს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ სამართალდამცავებისთვის გადაგზავნილი რამდენიმე საქმე ეხებოდა პირებს, რომელთა შესახებაც სამსახურის სარგებლობაში არსებულ მონაცემთა ბაზებში იძებნებოდა ნეგატიური ინფორმაცია მათი სხვადასხვა ტიპის დანაშაულთან შესაძლო კავშირის შესახებ. ამასთან ერთად, რამდენიმე პირი შეყვანილი იყო საერთაშორისო ე.წ. „შავ სიებში", როგორებიცაა მაგალითად აშშ-ის ხაზინის დეპარტამენტის საერთაშორისო აქტივების კონტროლის ოფისის მიერ მომზადებული სია, ინტერპოლის ძებნილთა სია.

საანგარიშო წლის მანძილზე სამსახურის მიერ გამოვლენილ საქმეთა ნაწილი ეხებოდა ირანული წარმოშობის პირების მიერ საქართველოში დაფუძნებული კომპანიების მეშვეობით ირანის მიმართ დაწესებული სანქციების შესაძლო თავის არიდების მცდელობას მესამე ქვეყნებში დაფუძნებულ კომპანიებთან განხორციელებული ტრანზაქციების საშუალებით.

საანგარიშო წლის სამსახურის მიერ გამოვლენილ საქმეთა მცირე რაოდენობა ითვალისწინებდა სხვადასხვა კომპანიის ხელმძღვანელი პირის მიერ თანამდებობის

ბოროტად გამოყენების სავარაუდო შემთხვევებს, რაც გამოიხატებოდა კომპანიებიდან თანხების დაუსაბუთებელ გადარიცხვაში პირად ანგარიშებზე.

2017 წელს სამსახურის მიერ დაფიქსირებულ შემთხვევათა ნაწილი უკავშირდებოდა საქართველოს მოქალაქეების საკმაოდ დიდი ჯგუფის მიერ სწრაფი ფულადი გზავნილების საშუალებით თანხების გაგზავნას ერთ-ერთ მეზობელ სახელმწიფოში რამდენიმე საერთო მიმღებთან. ძირითადად 20-დან 35 წლამდე ასაკის გამგზავნების ნაწილის გადამოწმებამ აჩვენა, რომ ისინი სხვადასხვა დროს ახლო წარსულში ნასამართლევი იყვნენ ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულებებისთვის. სამსახურის მიერ მიჩნეულ იქნა, რომ სავარაუდოდ ზემოაღნიშნული ტრანზაქციები შესაძლოა დაკავშირებული ყოფილიყო ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო მიმოქცევასთან. სამსახურის მიერ გამოვლენილი ყველა შემთხვევის თაობაზე შესაბამისი მასალები კანონით დადგენილი წესით მიეწოდათ სამართალდამცავ ორგანოებს.

- *ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა*

2017 წელს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა განაგრძო ინტენსიური თანამშრომლობა საზედამხედველო ორგანოებთან. მონიტორინგის განმახორციელებელი პირების შემოწმების მომზადებასა და ინსპექტირების შედეგებთან დაკავშირებით საზედამხედველო ორგანოებთან ხორციელდება ინფორმაციის ურთიერთგაცვლა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების სფეროში მოქმედი საკანონმდებლო ბაზის მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის შესახებ.


აღსანიშნავია, რომ სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურსა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, 2017 წლის 31 მარტს გაფორმდა მემორანდუმი თანამშრომლობის თაობაზე, რომლის მიზანია ინფორმაციის ურთიერთგაცვლის, ნორმატიული ბაზისა და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების შემუშავების პროცესში მხარეთა თანამშრომლობის გაღრმავება.

2017 წელს საქართველოს ფინანსური მონტორინგის სამსახური აქტიურად იყო ჩართული ასევე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოსა და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი და მისი შესრულების კოორდინაციის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საბჭოს მუშაობაში.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს კოოპერირებულ საქმიანობას უცხოელ კოლეგებთან. 2017 წელს სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური მონიტორინგის სამსახურებიდან მიღებული იყო 50 შეკითხვა და ყველა მათგანზე გაიცა შესაბამისი პასუხი. თავის მხრივ, საქართველოს ფინანსური

მონიტორინგის სამსახურის მიერ უცხოელ კოლეგებთან გაგზავნილ იქნა 28 შეკითხვა, აქედან პასუხი მიღებული იქნა 25 შეკითხვაზე. საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის სამსახურებს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ 2017 წელს გაეგზავნათ ფულის გათეთრების 12 სავარაუდო შემთხვევაზე ინფორმაცია, ხოლო უცხოელი კოლეგებისგან მიღებულ იქნა შეტყობინება 16 ანალოგიური ფაქტის თაობაზე.

მიღებული და გაგზავნილი შეკითხვები 2015–2017წწ.



საანგარიშო წლის მანძილზე სამსახური განაგრძობდა თანამშრომლობას საერთაშორისო და უცხოურ ორგანიზაციებთან. 2017 წლის მანძილზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური აქტიურად იყო ჩართული ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა (Moneyval) კომიტეტის პლენარული სხდომების მუშაობაში. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლები მონაწილეობნენ დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (C198-COP) ხელმომწერ მხარეთა მე-9 კონფერენციაში (2017 წლის 21 – 22 ნოემბერი, სტრასბურგი).

- ***საკანონმდებლო ბაზა***

საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების მიზნებისთვის ფინანსური სისტემის გამოყენების აღკვეთის თაობაზე

ევროკავშირის (მეოთხე) დირექტივის (Directive (EU) 2015/849 of the European Parliament and of the Council of 20 May 2015 on the prevention of the use of the financial system for the purposes of money laundering or terrorist financing, amending Regulation (EU) No 648/2012 of the European Parliament and of the Council) მოთხოვნებთან საქართველოს ფულის გათეთრების პრევენციული კანონმდებლობის დაახლოების მიზნით, სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ 2017 წლის მანძილზე მომზადდა კანონპროექტი „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, რომლის მიღების მიზანია, აგრეთვე, ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციებთან, „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციასთან და გაეროს შესაბამის რეზოლუციებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა. კანონპროექტის საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა დაგეგმილია 2018 წელს. 2017 წლის დეკემბერში სამსახურის მიერ მომზადებული კანონის პროექტი განხილულ იქნა კომერციული ბანკების, სადაზღვევო ორგანიზაციებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრებზე.

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2017 წლის 23 დეკემბრის ორგანული კანონით (N1894) შევიდა ცვლილება, რომლის შესაბამისად, შეიცვალა „საფინანსო სექტორის წარმომადგენლის“ ცნება და მასში დამოუკიდებელ სუბიექტად აღარ მოიაზრება ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირი. ამავე ცვლილებების თანახმად, საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრირებულმა ფულადი გზავნილების განმახორციელებელმა პირებმა 6 თვის ვადაში უნდა უზრუნველყონ ეროვნულ ბანკში საგადახდო მომსახურების პროვაიდერად დარეგისტრირება ან საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან საგადახდო მომსახურების აგენტის ხელშეკრულების გაფორმება. ანალოგიურად ამოღებულ იქნა ორგანული კანონიდან კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი ზემოაღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე შესაბამისი ცვლილებები შევიდა „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის თანახმად, მონიტორინგის განმახორციელებელი პირების ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნა ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირი და კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი.

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, 2017 წლის მანძილზე გაგრძელდა მუშაობა საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიების განახლების მიმართულებით. ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიების შედგენა ხორციელდება ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფისა (FATF) და გაეროს ალ-ქაიდასა და თალიბანის წინააღმდეგ მიმართული

სანქციების კომიტეტების (შეიქმნა გაეროს უშიშროების საბჭოს #1267 (1999) და #1988 (2011) რეზოლუციების საფუძველზე) რეზოლუციებზე დაყრდნობით. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ საანგარიშო წლის მანძილზე გაეროს შესაბამისი კომიტეტის გადაწყვეტილებების საფუძველზე მუდმივად ხდებოდა ცვლილებები და დამატებები ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიებში. ზემოაღნიშნული ბრძანებები გამოქვეყნდა საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ვებ-გვერდზე და მიეწოდა მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს. აღნიშნული ცვლილებებისა და დამატებების მიზანია გაეროს ალ-ქაიდასა და თალიბანის წინააღმდეგ მიმართული სანქციების კომიტეტების მიერ დამტკიცებულ სიებთან ადგილობრივი კანონმდებლობის სრული თავსებადობის უზრუნველყოფა.

- *ტრენინგები და სემინარები*

2017 წელს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა მონიტორინგის განმახორციებელ პირებისთვის ამ უკანასკნელთა მიერ მათზე კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად განაგრძო საკონსულტაციო შეხვედრების, ტრენინგებისა და სემინარების ორგანიზება. ამასთან, საანგარიშო წლის ივნისში საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში გაიმართა შეხვედრა საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების წარმომადგენლებთან. შეხვედრის ფარგლებში განხორციელდა სამსახურის მიერ 2016 წელს გამოვლენილი ძირითადი სახის კანონდარღვევათა ტიპოლოგიების პრეზენტაცია.

2017 წლის მანძილზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლები განაგრძობდნენ მონაწილეობას სხვადასხვა საერთაშორისო ტრენინგსა თუ სემინარში, ასევე ესწრებოდნენ საერთაშორისო ორგანიზაციების ინიციატივით გამართულ შესაბამის შეხვედრებს. კერძოდ, საანგარიშო წლის მანძილზე სამსახურის თანამშრომლები მონაწილეობდნენ:

- 27-28 თებერვალს ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზაებულ სამუშაო შეხვედრაში ბუღალტრებისა და აუდიტორებისათვის თემაზე „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა“;
- 26 – 29 აპრილს კიევში სუამ-ის სამდივნოში, საქართველოს თავმჯდომარეობით დაგეგმილ კორუფციისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ქვეჯგუფის სხდომაში;
- 24-28 აპრილს ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის მიერ კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პროექტის ფარგლებში ორგანიზებულ შეხვედრაში თემაზე „Regional case simulation exercise on cybercrime and financial investigations“.

- 28 მაისი - 3 ივნისს ბათუმში აშშ-ს საელჩოს მიერ მოწყობილ ტრენინგში „მიყევით ფულს - ფულის გათეთრება კაზინოში“;
- 1-2 ივნისს „პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის“ პროექტის ფარგლებში ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში თემაზე „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საქმეების გამოძიება სისხლის სამართლებრივი დევნა; დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების კონფისკაცია“;
- 26 ივნისი - 2 ივლისს ისი კულში გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს ცენტრალური აზიის რეგიონული ოფისის (UNODC ROCA) მიერ მოწყობილ სემინარში;

- 27-28 ივნისს პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის მე-8 რეგიონული კონფერენციაში თემაზე „დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების დაბრუნება და კიბერდანაშაული“ (8th IAP Eastern European and Central Asian Regional Conference “Asset Recovery and Cybercrime”).
- 3-4 ოქტომბერს „პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის“ პროექტის ფარგლებში ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში თემაზე „ნაღდი ფული და ფულის გათეთრება“;
- 11 – 14 ოქტომბერს კიევში სუამ-ის სამდივნოში, საქართველოს თავმჯდომარეობით დაგეგმილ კორუფციისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ქვეჯგუფის სხდომაში.